ა(ა)იპ ჭიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიული გეგმა

2024-2030

შესავალი

თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA / უნივერსიტეტი) პირველი უნივერსიტეტია, რომელმაც დასავლური სწავლების მეთოდები დანერგა სახელმწიფო მმართველობისა და პოლიტიკის სფეროში - სწორედ მაშინ, როცა ქართული სახელმწიფო პირველ ნაბიჯებს დგამდა სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის მშენებლობის გზაზე. GIPA-ს კურსდამთავრებულების წვლილი ამ პროცესში განსაკუთრებულია. სამი ათწლეულია რაც ჩვენ უწყვეტად ვაგრძელებთ ამ გზას საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან სხვადასხვა სფეროში და უახლესი აკადემიური და მეცნიერული მიღწევების დანერგვით, ვქმნით და გადავცემთ ახალ ცოდნას დემოკრატიის, თავისუფლებებისა და კეთილდღეობის იდეალების განსამტკიცებლად.

GIPA იშვიათი გამონაკლისია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც არც სახელმწიფო საკუთრებას არ წარმოადგენს და ამავდროულად, არც მოგებაზე ორიენტირებული კერძო უნივერსიტეტია. ეს საშუალებას გვაძლევს მიღებული შემოსავალი სრულად სასწავლო და კვლევითი პროცესების გასაუმჯობესებლად მივმართოთ. აღნიშნული ხელს გვიწყობს, რომ აკადემიური თავისუფლებების თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილს ვინარჩუნებდეთ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ამიტომაც, GIPA ყოველთვის იყო და რჩება საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევების განსახილველ ღია პლატფორმად, სადაც თითოეულ მოსაზრებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის განვითარებისკენ არის მიმართული, თანაბარი შანსი აქვს იყოს განხილული, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ მხოლოდ თავისუფალი და არგუმენტირებული დისკუსიით არის შესაძლებელი ოპტიმალურ გადაწყვეტილებამდე მისვლა. უნივერსიტეტის მესამე მისია, არაერთ სხვა მიმართულებასთან ერთად ჩვენთვის, სწორედ ამ მიდგომაში გამოიხატებოდა და მომავალშიც ასე დარჩება.

ამავდროულად, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით, თავს ვალდებულად ვთვლით, ვიყოთ არამარტო აკადემიური და იდეოლოგიური თავისუფლებების უპირობოდ ერთგული, არამედ ღია ყველა ნიჭიერი და შრომისმოყვარე ინდივიდის შესაძლებლობების რეალიზებაში, მიუხედავად მათი ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობისა. ამ მიზნის რეალიზებისთვის, თანამედროვე ცოდნისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გადაცემით, ვცდილობთ სხვადასხვა დარგის პროფესიონალებისა და მომავალი ლიდერების აღზრდას. ამასთან გვჯერა, რომ საზოგადოების ყველა ჯგუფის ჯეროვანი ჩართულობის გარეშე ჩვენი იდეალების განხორციელება არასრულფასოვანი იქნება. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანია უწყვეტი განათლების სისტემის კიდევ უფრო მეტად განვითარება და გაფართოება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი ამ მიმართებით შეუცვლელია და ამიტომაც, 2024-2030 წლების განმავლობაში ჩვენი ძალისხმევის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ მიმართულებებით მუშაობას დაეთმობა.

ჩვენს პრიორიტეტად რჩება მოწინავე როლი სწავლებაში განვამტკიცოთ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე კვლევითი საქმიანობით და აკადემიური ცოდნის პრაქტიკულ უნარებში სისტემატიზებული ტრანსფორმირებით. ამ მიზნით, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების გარდა, კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ საერთაშორისო კვლევითი და საგანმანათლებლო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

ამ თვალსაზრისით, ჩვენი პრიორიტეტი ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მათი მოდიფიკაციაა. ხელოვნური ინტელექტის მუდმივი განვითარების პროცესი, დისტანციური სწავლების გაფართოება, მისი სხვადასხვა ფორმების გავრცელება და მეთოდების დახვეწა ახალ შესაძლებლობებს ქმნის სასწავლო და კვლევითი პროცესის ახალ საფეხურზე გადასაყვანად.

წინამდებარე სტრატეგიული გეგმა ეფუძნება ჩვენი უნივერსიტეტის მისიას, ხედვასა და ძირითად ღირებულებებს, ასახავს განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს და მოიცავს მათ შესასრულებლად საჭირო მიზნებს მომავალი 7 წლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს 2018-2024 წწ. უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს. ამასთანავე, მხედველობაში იქნა მიღებული, ჩვენს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა და დაინტერესებულ მხარეებთან გამართული ფოკუს-ჯგუფების შედეგები, როგორც კონკრეტული დისციპლინებისა და პროგრამების ასევე ზოგადად უმაღლესი განათლების თვალსაზრისით. ასევე ცალკეული კვლევის შედეგები, რომლებიც შეისწავლიდა საქართველოში უმაღლესი განათლების თვალსაზრისით არსებულ ზოგად და სპეციფიკურ ვითარებას კონკრეტული მიმართულებებით, უნივერსიტეტში არსებულ სწავლების ხარისხს, პერსონალისა და სტუდენტთა საჭიროებებს, აკადემიურ პრიორიტეტებსა და მართვის სისტემებს.

სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში ასევე გათვალისწინებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, ბოლონიის პროცესის ძირითადი შეთანხმებები და პრინციპები, ქართული და დასავლური უნივერსიტეტების წარმატებული გამოცდილებები და პრაქტიკა.

პროცესისა და მეთოდოლოგიური მიდგომების აღწერა

უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა 2023 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. რექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა შეემუშავებინა მეთოდოლოგიური ჩარჩო და წინა სტრატეგიული გეგმის განხორციელების გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე შეემუშავებინა განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი.

სამუშაო ჯგუფი შედგებოდა უნივერსიტეტის მენეჯმენტის, ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა წარმომადგენლებისგან.

პირველ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ იქნა 2018-2024 წლების განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ მიღწეული შედეგები და გაანალიზდა ამ დროის განმავლობაში ჩატარებული კვლევები, საკანონმდებლო ცვლილებები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც უმაღლესი განათლების სფეროს შეეხო. ყურადღება დაეთმო უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოში, რეგიონსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებსაც.

მეორე ეტაპზე დაიგეგმა სიტუაციური ანალიზი პრობლემის ხისა და SWOT ანალიზის მეთოდოლოგიების გამოყენებით. ამ მიზნით, უნივერსიტეტის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს დაევალა წარმოედგინა შესაბამისი მიმართულებებით უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ხედვა.

მესამე ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა მოახდინა პირველ და მეორე ეტაპზე დაგროვილი ინფორმაციისა და მონაცემების მონაცემების ანალიზი და სინთეზი. ამ პროცესის შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები, სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი ამოცანები.

მეოთხე ეტაპზე სტრატეგიული განვითარების გეგმა გადაეგზავნა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. რომელმაც განიხილა და მოიწონა წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინა უნივერსიტეტის რექტორს.

სიტუაციის ანალიზი

ხარისხიანი უმაღლესი განათლება ნებისმიერი ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნდამენტია. სწორედ უმაღლესი განათლება უზრუნველყოფს ინოვაციების შექმნას და უკვე არსებული უახლესი ტექნოლოგიების ცხოვრებაში წარმატებით დანერგვას. ამ მიმართებით გლობალური კონკურენცია ახალ ინტენსივობას აღწევს. უკვე რამდენიმე ათეული წელია მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა დაიწყეს საკუთარი განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებზე გადაწყობა; გლობალურ და უნივერსალურ საჭიროებებზე მორგებული პროგრამებისა და მიმართულებების შექმნა და შეთავაზება; მზარდია ინგლისურ ენაზე სწავლების ტენდენციებიც, რაც ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გლობალურ კონკურენციაში რთავს. ერთის მხრივ, ეს ზრდის გლობალურ შესაძლებლობას მოხდეს საუკეთესო პროფესურის, ადმინისტრაციული მართვის სისტემებისა და ყველაზე პერსპექტიული ხარისხის მაძიებლების კონცენტრაცია მაღალი მატერიალური შესაძლებლობების ქვეყნებსა და უნივერსიტეტებში, რაც ქმნის პოტენციალს წარმატებული ინოვაციისა და მეცნიერული პროგრესის დასაჩქარებლად. მეორეს მხრივ, ეს გარემოება ხელს უშლის შედარებით ნაკლები რესურსის მქონე ქვეყნებსა და უნივერსიტეტებს შეინარჩუნონ გარკვეული კონკურენტუნარიანობა მსოფლიო და რეგიონული მასშტაბით. საქართველო დღეს ასეთი ქვეყნების რიცხვშია. ჩვენ გაცილებით ნაკლებს ვხარჯავთ დღეს განათლებაზე, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი უმაღლესი განათლების მიმართულებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030-ის თანახმად, განათლებაზე სახელმწიფო დაფინანსების 70%-ზე მეტი მასწავლებლების ხელფასებზე მოდიოდა, ხოლო უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 0.3%-შეადგენდა. ამავე წყაროს მიხედვით, ასევე უმნიშვნელოა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ კვლევებისა და განვითარების დაფინანსების წილი მშპ-ს დაახლოებით 0.11% იყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ მწირი დაფინანსების უდიდესი ნაწილი სახელმწიფო უნივერსიტეტებს ხმარდება, კიდევ უფრო ცხადი ხდება თუ როგორი გამოწვევების წინაშე დგას GIPA, რომელიც არ არის ორიენტირებული ფინანსური მოგების მიღებაზე. ჩვენ, 2018-2024 წლების სტრატეგიული გეგმის განხორციელების დროსაც, სწორად განვსაზღვრეთ რომ მთავარი მიმართულებები ხარისხიანი განათლების გადაცემასთან ერთად, კვლევების მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ყოფილიყო, თუმცა, ამ კონტექსტიდან ნათელი ხდება, რომ მსგავსი მიზნების მიღწევა განგრძობითი და გრძელვადიანი პროცესია. ხარისხიანი განათლების მიცემა და კვლევების განვითარება მთელი ქვეყნისთვის ცენტრალური მნიშვნელობის გამოწვევას წარმოადგენს, რაც ცხადად აღინიშნა კიდეც საქართველოს განათლების და მეცნიერების ახალ სტრატეგიაში (სტრატეგია 2022-2030). მეტიც, კოვიდ-19-ის მსოფლიო პანდემიამ კიდევ უფრო გაამძაფრა უმაღლესი განათლების სექტორში არსებული კონკურენცია, ვინაიდან უნივერსიტეტებმა მასობრივად დაიწყეს დისტანციური სწავლების გამოყენება და ამ პროცესში უფრო მეტად დაიხვეწა ასეთი ტიპის განათლების გადაცემისა და მიღების მექანიზმები, რაც პანდემიის დასრულების შემდეგაც ტოვებს შესაძლებლობებს კონკურენციის გლობალური ხასიათი კიდევ უფრო გაძლიერდეს. ამ ფონზე და შეზღუდული დაფინანსების პირობებში უნივერსიტეტისთვის რთული, მაგრამ უმთავრესი ამოცანაა ხარისხიანი უმაღლესი განათლების შენარჩუნება-სრულყოფა და კვლევების განვითარება.

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030-ის თანახმად, დღეს სახელმწიფო, მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 2.5%-ს ხარჯავს მთლიანად განათლების სისტემაზე და გეგმავს, რომ ამ მიმართულების დაფინანსება 6%-მდე გაიზარდოს. ეს უკვე მიუთითებს, თუ რამდენად მცირეა ჯერჯერობით განათლებაში ჩადებული ძალისხმევა. განსაკუთრებით კი ეს უმაღლეს განათლებასა და კვლევებს ეხება. სწორედ ამიტომ, უმაღლეს განათლებაში მატერიალური რესურსის მობილიზება კერძო სექტორსა და შინამეურნეობებზე გადადის. ამავე სტრატეგიის მიხედვით, უმაღლესი განათლების სფეროს ჯამური დაფინანსების 75% სწორედ შინამეურნეობების ხარჯზე მოდის. ამ მიმართულებით რესურსების ზრდა კი ეკონომიკის ზრდის პერსპექტივებთან და შემოსავლების მეტნაკლებად თანასწორად გადანაწილებასთან არის დაკავშირებული. იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლეს განათლებაზე არსებული მწირი სახელმწიფო დაფინანსების უდიდესი ნაწილი სახელმწიფო უნივერსიტეტებზე მოდის, კერძო უნივერსიტეტები კიდევ უფრო მეტად არიან დამოკიდებული მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, რამდენადაც მათი დანახარჯების უდიდესი ნაწილი სწორედ კომერციული შემოსავლებით ფინანსდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, როგორც წესი, უწევთ უფრო მაღალი სწავლის საფასურის დაწესება, რაც კიდევ უფრო ართულებს ხარისხის მაძიებელთა ფართო დიაპაზონის მოზიდვას - განსაკუთრებით კი ეკონომიკური გამოწვევების მქონე ახალგაზრდების შემთხვევაში.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზოგადი განათლების საფეხურზე არსებული გამოწვევები ასახვას ჰპოვებს ხარისხიანი უმაღლესი განათლების ჯეროვნად გადაცემის თვალსაზრისით და გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე ეს უფრო მაღალი ზოგადი განათლების შედეგების მქონე ქვეყნებში გვხვდება.

ბოლო წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძვრებია ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების თვალსაზრისით. ეს დიდ შესაძლებლობებს ქმნის იმ უფსკრულის აღმოსაფხვრელად, რაც უმაღლესი განათლების თვალსაზრისით წამყვან ქვეყნებსა და ჩვენს შორის არსებობს. ამ ტიპის ტექნოლოგიურ პროგრესს აქვს პერსპექტივა გაათანაბროს შესაძლებლობები.

საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება ახალ შესაძლებლობებს აჩენს საუნივერსიტეტო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. სტუდენტების საერთო რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, ჩვენი უნივერსიტეტი ერთ-ერთი ლიდერია გაცვლითი პროგრამებისა და მათში მონაწილე პირების რაოდენობით. მზარდია ჩვენთან სწავლის მსურველ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობაც. GIPA ტრადიციულად იყო TEMPUS-ის, შემდგომ კი ERASMUS+ -ის აქტიური მონაწილე, ამჟამად კი ევროკომისიის დაფინანსებით, GIPA-ს ლიდერობით ავსტრიის, ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან ერთად, მიმდინარეობს პოლიტიკის მეცნიერების ერთობლივი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის შემუშავება. საინტერესო პერსპექტივებს აჩენს საქართველოს მზარდი ინტეგრაცია „ჰორიზონტი ევროპის“ ფარგლებში, GIPA-ს კვლევითი მხარდაჭერის რესურსების თვალსაზრისით შესაძლებლობების შემდგომი განვითარება.
ამ ფონზე, გასული 6 წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა საგრძნობ ზრდასა და განვითარებას მიაღწია. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამებისა და მიმართულებების რაოდენობა, თვისებრივად ახალი მასშტაბები მიიღო პროფესიული და უწყვეტი განათლების მიმართულებით არსებულმა პროგრამებმა. ინსტიტუციური განვითარების კვალდაკვალ, მზარდია როგორც სტუდენტების ისე აკადემიური პერსონალის რაოდენობა და მათ მიერ კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი საუნივერსიტეტო დაფინანსების მოცულობა. რამდენჯერმე გაიზარდა გაცვლითი პროგრამების დიაპაზონი და მასში მონაწილეთა რიცხვი, წარმატებული აღმოჩნდა ონლაინ სწავლების მეთოდების გამოყენება და რეალიზდა უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი პროცესების ძირითადი ნაწილის ერთ ლოკაციაზე წარმართვა.

SWOT ანალიზი

სიტუაციური ანალიზის პროცესში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენისას გამოყენებული იქნა SWOT ანალიზის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც შეფასდა უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, ისევე როგორც გაანალიზდა შესაძლებლობები და საფრთხეები.

ძლიერი მხარეები

GIPA-ს მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა და აკადემიური რეპუტაცია - დაარსების დღიდან უნივერსიტეტი საქართველოში სწავლების დასავლური მეთოდოლოგიის ერთ-ერთი პირველი დამნერგავია. არსებობის 30 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტმა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დემოკრატიული ღირებულებების ერთგული კურსდამთავრებულების მომზადებით, განიმტკიცა სახელი როგორც მაღალი ხარისხის თანამედროვე განათლების მიმწოდებელმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამები - GIPA ყოველთვის გამოირჩეოდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინოვაციური და უახლეს სამეცნიერო ცოდნაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამებით, რა მიზნითაც აქტიურად ვთანამშრომლობთ დაინტერესებულ მხარეებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ და ვახდენთ ახალი კვალიფიკაციებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირებას.

წარმატებული კურსდამთავრებულები - ჩვენი კურსდამთავრებულები წარმოდგენილნი არიან წამყვან თანამდებობებზე როგორც საჯარო, ასევე კერძო და არასამთავრობო სექტორში და მუშაობენ ისეთ ცნობილ საერთაშორისო კომპანიებში/ორგანიზაციებში, როგორებიცაა: United Nations (UN), BBC Broadcasting Company, FOX Broadcasting Company, German Development Cooperation (GIZ), Booking.com, Europol, Credit Suisse და სხვა. ასევე, ჩვენი კურსდამთავრებულები აგრძელებენ წარმატებულ კარიერას ქვეყნის შიგნით საჯარო სექტორში როგორც ადგილობრივ ისე ცენტრალურ დონეზე, მათ შორის, საქართველოს მთავრობაში, საქართველოს პარლამენტსა და სასამართლო ორგანოებში. GIPA-ს კურსდამთავრებულები წარმატებით საქმიანობენ კერძო სექტორშიც, ასევე ფართოდ არიან წარმოდგენილნი მედია და არასამთავრობო სექტორში.

ასევე, მრავალფეროვანია იმ წამყვანი უნივერსიტეტების ჩამონათვალი, რომლებშიც GIPA-ს კურსდამთავრებულები სწავლობდნენ და/ან აგრძელებენ სწავლას, მათ შორის: Harvard University, Yale University, King's College London, Lund University, New York University, Utrecht University, Frankfurt School of Finance & Management, University of South Carolina, University of Gothenburg, Goldsmiths University of London, Miami Ad School და სხვა.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი - ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა 89% დასაქმებულია, მათ შორის 71% მუშაობს GIPA-ში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ასევე, აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთაგან ყოველი მეოთხე იკავებს მაღალ მენეჯერულ პოზიციებს. აღნიშნული ხაზს უსვამს როგორც უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების მაღალ მაჩვენებელს, ასევე უნივერსიტეტის მიერ შრომის ბაზრის მოთხოვნათა მუდმივი შესწავლისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირების შედეგიანობას.

ინოვაციური სწავლების მეთოდები და აკადემიური თავისუფლება - GIPA აღიარებს და იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს, რაც თითოეული პროფესორ-მასწავლებლისთვის წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესში სწავლა-სწავლების მეთოდების დამოუკიდებლად შერჩევის წინაპირობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სწავლების ინოვაციური მეთოდების აქტიურ გამოყენებას.

დარგის საუკეთესო სპეციალისტები - GIPA მუდმივად გამოირჩეოდა სწავლებაში დარგის საუკეთესო პრაქტიკოსი ლექტორების ჩართულობით, რაც სტუდენტებს თეორიულ ცოდნასთან ერთად საკითხის პრაქტიკული პრიზმიდან გაცნობის შესაძლებლობას სწავლის პროცესშივე სთავაზობს. აღნიშნული ეხება უნივერსიტეტის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას და დიდია სწავლებაში ჩართული ისეთი პერსონალის წილი, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის, ბიზნესის, გარემოს დაცვის, ხელოვნების, ჟურნალისტიკისა და სამართლისა და საზოგადოებისთვის სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

მოქნილი და დემოკრატიული მართვა - GIPA წარმოადგენს არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს, იგი გამოირჩევა დემოკრატიული მართვის სტილითა და ნაკლებად იერარქიული ორგანიზაციული სტრუქტურით, რაც ხელს უწყობს როგორც სახელმწიფო და კერძო გავლენებისგან მის დამოუკიდებლობას, ისე გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიულ პროცესსა და მეტ მოქნილობას. ამასთანავე, მინიმალური იერარქიის მქონე ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს იმგვარი გარემოს არსებობას, სადაც სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაცია მაქსიმალურად ახლოსაა ერთმანეთთან. ეს კი უნივერსიტეტში ქმნის როგორც ურთიერთობების მაღალ ხარისხს, ისე აკადემიური თავისუფლების მაღალ დონესა და კომფორტულ სასწავლო/სამუშაო გარემოს.

ძლიერი და მრავალფეროვანი საერთაშორისო კავშირები - დაარსების დღიდან, GIPA-ს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების სრულყოფაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა სხვადასხვა დასავლური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო პრაქტიკების გაზიარება. მოცემულ ეტაპზე, სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით, ვთანამშრომლობთ ევროპის, ამერიკის, ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის 100-მდე უნივერსიტეტთან. ასევე, აქტიურად ვმონაწილეობთ Erasmus+ პროექტებში, ვიღებთ და ვგზავნით სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებში, რაც ხელს უწყობს როგორც უნივერსიტეტის ინსტიტუციურ გაძლიერებას, ისე მისი საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებასა და საერთაშორისო კავშირების შემდგომ გაღრმავებას.

საერთაშორისო პროექტების მრავალფეროვნება - ჩვენი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო კვლევით, საგანმანათლებლო, განვითარებისა თუ სხვა სახის პროექტების განხორციელებაში. აღნიშნულის ფარგლებში, მნიშვნელოვან ძალისხმევას ვწევთ როგორც სხვადასხვა სექტორის განვითარებაზე მიმართული კვლევითი პროექტების განხორციელებაში, ისე შესაძლებლობების გაზრდასა და ცალკეული მიმართულებით ინოვაციური, საუკეთესო გამოცდილებებზე დაფუძნებული პრაქტიკების მხარდაჭერაში.

ძირითადი საუნივერსიტეტო პროცესების ერთ შენობაში თავმოყრა - 2024-2025 სასწავლო წლიდან, საუნივერსიტეტო საქმიანობის ძირითად ნაწილს ვახორციელებთ ერთ შენობაში, რაც ხელს უწყობს როგორც ადმინისტრაციული ეფექტიანობის გაზრდას, ისე ქმნის უკეთეს გარემოს სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. შედეგად, ამაღლებულია უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობები.

სუსტი მხარეები

ერთობლივ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი პროექტების შედარებით დაბალი მაჩვენებელი - მიუხედავად იმისა, რომ კვლევითი მიმართულებით უნივერსიტეტის ბიუჯეტი ყოველწლიურად მზარდია და მოიცავს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში GIPA-ს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის მხარდაჭერას, მოცემულ ეტაპზე ერთობლივ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩვენი მონაწილეობის მაჩვენებლები საჭიროებს გაუმჯობესებას. ამ მიზნით შემუშავებული გვაქვს დამატებითი წამახალისებელი მექანიზმები, რომლებიც იძლევა ერთობლივ საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და საერთაშორისო კვლევითი პროექტების დაფინანსების მოპოვების მიზნით აკადემიური პერსონალის მეტად გააქტიურების წინაპირობას.

საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლებობა - მაღალი ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებლების მიუხედავად აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ვროცლავის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ვახორციელებთ ერთობლივ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც GIPA-ს საჯარო მმართველობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დამატებით მიიღონ პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაცია ვროცლავის უნივერსიტეტში. ერთობლივი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი გამრავალფეროვნების მიზნით აღსანიშნავია, რომ GIPA ევროკავშირის მხარდაჭერით თანამშრომლობს „JoPScip“ კონსორციუმთან, რომლის ფარგლებშიც ავსტრიის, ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან ერთად მიმდინარეობს პოლიტიკის მეცნიერების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება. აღნიშნული ერთობლივი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია 2026 წლიდან.

თანამედროვე ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურის სიმწირე - ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული წარმოადგენს ქართული აკადემიური სივრცის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, რომლის აღმოფხვრაც სცდება ერთი კონკრეტული ინსტიტუციის შესაძლებლობებს და საჭიროების სხვადასხვა აქტორების აქტიურ ჩართულობას (სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონეზე). ამ მხრივ ვიზიარებთ საკუთარ წილ პასუხისმგებლობას და კვლევების დეპარტამენტის ბიუჯეტს ყოველწლიურად ვგეგმავთ მზარდი დინამიკით, მათ შორის წლიდან წლამდე ვზრდით ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების თარგმნისა და შექმნისთვის გამოყოფილ ფინანსურ რესურსებს, რითაც ხელს ვუწყობთ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში თანამედროვე ქართულენოვანი ლიტერატურის გამრავალფეროვნებას.

შესაძლებლობები

ევროინტეგრაციის დაახლოების საფუძველზე გაჩენილი შესაძლებლობები - ევროკავშირთან ქვეყნის დაახლოება ახალ შესაძლებლობებს აჩენს როგორც კვლევითი საქმიანობისთვის დამატებითი რესურსების მოსაზიდად, ისე ევროკავშირის წევრი ქვეყნების უნივერსიტეტებთან თანამშრომლობების შემდგომი გამრავალფეროვნებისა და გაღრმავების თვალსაზრისით, რაც პოზიტიური პერსპექტივაა როგორც უნივერსიტეტის შემდგომი ინსტიტუციური გაძლიერების, ისე სტუდენტთათვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამებისა თუ საერთაშორისო გაცვლითი შესაძლებლობების ზრდისა და გაღრმავების თვალსაზრისით.

საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილება ონლაინ სწავლების სრულად ან ნაწილობრივ დანერგვის ხელშესაწყობად - საქართველოს კანონმდებლობით ონლაინ და დისტანციური სწავლების შესაძლებლობების გაზრდა დამატებით სივრცეს გააჩენს იმგვარი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის თვალსაზრისით, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ახალი სეგმენტის მოზიდვას და უნივერსიტეტს შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, შესთავაზოს მეტად მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები და სერვისები.

ახალ საუნივერსიტეტო შენობაში გადასვლის შემდგომ სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შესაძლებლობა - ძირითადი საუნივერსიტეტო პროცესების ერთ შენობაში თავმოყრა, რომელიც მისი მასშტაბისა და სტუდენტური, სასწავლო თუ რეკრეაციული სივრცეების გათვალისწინებით, გვაძლევს როგორც შემდგომი ინსტიტუციური განვითარების, ისე სტუდენტთა არსებული კონტინგენტის გაზრდისა და პროგრამების უფრო მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზების შესაძლებლობას.

ინფრასტრუქტურის (სასწავლო/სამუშაო გარემოს) შემდგომი გაუმჯობესება - უნივერსიტეტის ახალ შენობაში გადასვლის შემდგომ, ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობის ზრდისა და სტუდენტთა დამატებითი კონტინგენტის მოზიდვის კვალდაკვალ შესაძლებლობა გვექნება დამატებითი ძალისხმევა მივმართოთ საკუთარი საუნივერსიტეტო კამპუსის განსავითარებლად, რომელიც მორგებული იქნება თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებებზე და უპასუხებს უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარების მიზნებს.

ქვეყნის მზარდი საერთაშორისო ცნობადობა და უცხოელ სტუდენტთა შემდგომი მოზიდვის შესაძლებლობები - მზარდია საქართველოს რეპუტაცია, როგორც ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღებისთვის მიმზიდველი ქვეყანა. აღნიშნული კი, ევროინტეგრაციის პროცესების პარალელურად, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის თვალსაზრისით დამატებით შესაძლებლობას გვაძლევს მოვიზიდოთ სტუდენტთა დამატებითი კონტინგენტი როგორც ევროპის, ისე აზიისა და აფრიკის კონტინენტებიდან.

საფრთხეები

არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური ვითარება - ქვეყნის ფარგლებში ეკონომიკური ვითარების მერყეობა შესაძლებელია ნეგატიურად აისახოს ჩვენი სტუდენტები გადახდისუნარიანობაზე. შედეგად, შესაძლებელია გაიზარდოს სწავლის საფასურის დავალიანების მაჩვენებელი ან შემცირდეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაბარების მსურველთა რაოდენობა, რამდენადაც GIPA-ში სწავლის საფასური მაღალი თვითღირებულების გამო აღემატება როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტების, ისე ცალკეული კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული პროგრამების სწავლის საფასურს.

კონკურენცია საერთაშორისო დონეზე - გასათვალისწინებელია, რომ მზარდია ქართველ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურებზე სწავლას აგრძელებენ უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც სწავლის საფასურთან ერთად (რომელიც ხშირ შემთხვევაში მინიმალურია შესაბამის სახელმწიფოში უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკიდან გამომდინარე), კონკურენტულია ქალაქ თბილისში ცხოვრების საშუალო ხარჯთანაც კი. აღნიშნული გარემოება წარმოაჩენს საერთაშორისო კონკურენციის ნათელ მაგალითს და შესაძლო გამოწვევას მომავალში ქართველი სტუდენტების მოზიდვის თვალსაზრისით.

კერძო და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის სახელმწიფო დაფინანსების დისბალანსი - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ მცირე ნაწილია მიმართული უმაღლესი განათლების მხარდასაჭერად, რომლის ძირითადი წილიც სახელმწიფო უნივერსიტეტების დაფინანსებას/სუბსიდირებას ხმარდება. აღნიშნული კერძო უნივერსიტეტთათვის ართულებს სახელმწიფო უნივერსიტეტებთან კონკურენციის შესაძლებლობას - როგორც სწავლის საფასურის განსაზღვრის, ისე ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით, რამდენადაც კერძო უნივერსიტეტების შემოსავლის ძირითად წყაროს სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასური წარმოადგენს.

უნივერსიტეტის მისია, ხედვა, პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

მისია

GIPA-ს მისიაა, თანამედროვე ცოდნის შექმნის, გადაცემისა და გამოყენების გზით აღზარდოს ახალი თაობის პროფესიონალები. დაარსების დღიდან, ჩვენ როგორც თავისუფლების იდეალების ერთგული უნივერსიტეტი, ვამზადებთ ლიდერებს, რომლებიც მოწინავე როლს ასრულებენ დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.

ხედვა

ჩვენ ვამზადებთ დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების მქონე კურსდამთავრებულებს, ვადგენთ ტენდენციებს კვლევისა და განათლების სფეროში და ხელს ვუწყობთ საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას. გამორჩეული ორგანიზაციული კულტურის შენარჩუნებით, ვისწრაფვით აღვზარდოთ ლიდერები განსაკუთრებული ცოდნით და ზრდაზე ორიენტირებული აზროვნებით, რომელიც ასახავს ჩვენს მტკიცე ერთგულებას სრულყოფილებისა და უწყვეტი განვითარებისადმი.

პრიორიტეტები

არსებული სიტუაციის სიღრმისეული ანალიზის შედეგად განისაზღვრა უნივერსიტეტის განვითარების 5 ძირითადი მიმართულება, რომლებიც 2024-2030 წლების განმავლობაში ჩვენ პრიორიტეტად რჩება. ამ მიმართებით, გათვალისწინებულ იქნა როგორც ძირითადი ჩართული მხარეების მისწრაფებები და შესაძლებლობები, ასევე ადგილობრივი და გლობალური კონტექსტი.

საგანმანათლებლო საქმიანობა ჩვენს უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. GIPA დაარსების დღიდან ერთ-ერთი პირველი იყო სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვაში.ჩვენი მიზანია უნივერსიტეტმა სოციალური მეცნიერებების ტრადიციულ დარგებში შეინარჩუნოს და განამტკიცოს წამყვანი პოზიციები, განსაკუთრებით კი, მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ამავდროულად, მნიშვნელოვანი იქნება აფილირებული აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილის გაზრდა და კონკრეტული მიმართულებებით შეთავაზებული საგნების რაოდენობისა და მრავალფეროვნების გაზრდა.

ინტერნაციონალიზაცია ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ბოლონიის პროცესი გლობალური ტენდენციის საუკეთესო გამოხატულებაა და საქართველოს ჩართულობის ზრდა ევროპის უმაღლესი განათლებისა (EHEA) და ევროპის კვლევით სივრცეში (ERA) მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის ჩვენი და ევროპული უნივერსიტეტების თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის. ვგეგმავთ კიდევ უფრო გავზარდოთ როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული ს პერსონალის გაცვლის შესაძლებლობები ჩვენ პარტნიორ უნივერსიტეტებთან ევროპაში.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ის ცენტრალური მიმართულებაა, სადაც წარმატების მიღწევა მთელი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. დღეს ძალზე ცოტაა სოციალური მეცნიერებების დარგში ისეთი პუბლიკაციები და კვლევები, რომლებიც რეიტინგულ გამოცემებში იბეჭდება. სხვა მიზეზებთან ერთად ამ პრობლემას სახელმწიფო და კერძო დაფინანსების სიმწირე ქმნის. განსაკუთრებით რთულია, ამ მიმართებით, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, აუცილებლად მიგვაჩნია ამ სფეროში პროგრესის მიღწევა.

ინსტიტუციური განვითარება საუნივერსიტეტო საქმიანობის წარმატებული განხორციელების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. შეზღუდული ფინანსური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ჩვენი უნივერსიტეტის მდგრადი და სტაბილური განვითარების უმთავრეს გამოწვევას. ახლაც, ჩვენი სწავლების პროცესის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად იჯარით აღებული სასწავლო ფართის გამოყენებით ხორციელდება. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იქნება ახალ შენობაში გადასვლა, სადაც თავს მოიყრის საგანმანათლებლო პროგრამების აბსოლუტური უმრავლესობა და პროცესს მეტ ეფექტიანობას შესძენს.

პროფესიული განათლება ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ პრიორიტეტად ყალიბდება. ჩვენმა უნივერსიტეტმა 2018 წელს დაიწყო პირველი პროფესიული პროგრამის განხორციელება, რომელიც შრომის უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების კვალიფიციურ კადრებს ამზადებს. იგეგმება ამ მიმართულების შემდგომი გაფართოება და განვითარება. შემდეგი 7 წლის მანძილზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერას, შესაბამისი ადამიანური რესურსის გადამზადების პროგრამების დანერგვასა და სასწავლო გარემოს მუდმივ გაუმჯობესებას.

პრიორიტეტი I. საგანმანათლებლო საქმიანობა

საგანმანათლებლო საქმიანობა ჩვენს მუდმივ პრიორიტეტს წარმოადგენს. უნივერსიტეტის დაარსებიდანვე GIPA-ში თანამედროვე დასავლური სტანდარტების შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგია დაინერგა. მეთოდოლოგიასთან ერთად შეიქმნა განსაკუთრებული საგანმანათლებლო გარემო, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა საბჭოთა მემკვიდრეობისგან და ამ მიმართებით, უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნიდა ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაძენად. ლექტორსა და სტუდენტს შორის უსარგებლო ბიუროკრატიული და იერარქიული ბარიერის მოსპობა, სტუდენტის მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში უწყვეტი შეფასების წესი და არა მხოლოდ საგნის დასასრულს საბოლოო გამოცდის მეშვეობით, ინტერაქციული ლექციისა და სემინარების დანერგვა, კაზუსებისა, სიმულაციებისა და პრაქტიკული გამოცდილების განხილვის საშუალებით ცოდნის მიღება, დასავლური სტანდარტის მიხედვით გაწერილი სილაბუსები და შეფასების სისტემა, ისევე როგორც თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობა დღესაც რჩება ჩვენი ფილოსოფიისა და მიდგომის განმსაზღვრელ კომპონენტად.

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ჩვენი უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაფართოვდა. 2018 წელთან შედარებით სტუდენტების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა, გაიზარდა საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა ყველა საფეხურზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა აფილირებული აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილი. ვგეგმავთ მომავალი 7 წლის განმავლობაში გავზარდოთ როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.

შემდეგი 7 წლის მანძილზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ამ მიღწევების შენარჩუნება და შემდგომი განვითარებაა. ამ თვალსაზრისით განისაზღვრა 5 სტრატეგიული მიზანი.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და არსებულის მუდმივი განვითარება უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იქნება. ზრდის ტემპების გათვალისწინებით, აუცილებელია, მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია და მდგრადობის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება შენარჩუნდება საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე მექანიზმებით ხარისხის უზრუნველყოფასა და დაინტერესებული პირების ჩართულობით მათ მუდმივ გაუმჯობესებაზე, დისციპლინების მიხედვით არჩევითი საგნების ხვედრითი წილის გაზრდასა და აფილირებული აკადემიური პერსონალის როლის შემდგომ გაძლიერებაზე საგანმანათლებლო პროცესში. განსაკუთრებულ ყურადღება გამახვილდება საერთო საუნივერსიტეტო საგნების დანერგვაზე, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს სხვადასხვა მიმართულებიდან აირჩიოს მისთვის საინტერესო საგანი. ხარისხიანი განათლების შექმნა და გადაცემა შეუძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებისა და კურიკულუმში ამ კომპონენტების ინტეგრაციის გარეშე. ბოლო წლებში დაფიქსირებული პროგრესის გათვალისწინებით, ეს ამოცანა ჩვენთვის მეტად საყურადღებო ხდება. განვაგრძობთ შრომის ბაზრის მოთხოვნების მუდმივ გათვალისწინებას სასწავლო პროცესში და გამოყენებით უნარებზე აქცენტის გაკეთებას.

უკვე აღინიშნა, რომ ასევე დაგეგმილია ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და მიმართულებების დანერგვა. ბუნებრივია, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება პირდაპირ იქნება დაკავშირებული შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან და საშუალოვადიან პერსპექტივებთან. მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება 3 წლიანი საბაკალავრო და 1 წლიანი სამაგისტრო პროგრამების შემუშავება შესაბამისი მიმართულებებით. შრომის ბაზრის რეგულარული და ინსტიტუციონალიზებული შესწავლის საფუძველზე და შესაბამისი დასკვნების არსებობის შემთხვევაში, დაიგეგმება ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება.

გლობალური კონტექსტისა და საქართველოს კანონმდებლობაში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით კომუნიკაციის დისტანციური მეთოდის განვითარება და ჰიბრიდული სასწავლო კომპონენტების დანერგვა ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პანდემიამ გვაიძულა სასწავლო პროცესი იძულებით და ექსტრემალურად მცირე დროში გადაგვეტანა ონლაინ ფორმატში, უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ხარისხის პროგრამების დანერგვა მეტ სისტემატიზაციას მოითხოვს სწორედ ამ მიმართულებით ვგეგმავთ მუშაობას მომდევნო 7 წლის განმავლობაში აქტიურად ვითანამშრომლოთ ჩვენ პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ უწყვეტი განათლების კომპონენტის შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებას. მრავალი წელია, რაც უნივერსიტეტის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი უზრუნველყოფს სასერთიფიკატო პროგრამების ერთიანი სტანდარტით შემუშავებასა და განხორციელებას. წარმატებულია თანამშრომლობა სხვადასხვა საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ინსტიტუციებთან. ამ გამოცდილების გათვალისწინებით ვგეგმავთ ცენტრის საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურებასა და მსურველთათვის პროგრამებისა და ტრენინგ მოდულების კიდევ უფრო ფართო დიაპაზონის შეთავაზებას.

ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა სწავლების უახლესი მიღწევებისა და მეთოდიკის დანერგვით. ამ თვალსაზრისით, მიზნად ვისახავთ რიგი მიმართულებებით მეწარმე უნივერსიტეტის მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. სწავლების ეს კონცეფცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თუკი მხედველობაში მივიღებთ საქართველოს განათლების სტრატეგიას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი აკადემიასა და შრომის ბაზარს შორის მჭიდრო თანამშრომლობის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობაა. GIPA ყოველთვის გამოირჩეოდა პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდიკით და აქედან გამომდინარე, კერძო სექტორთან ნაყოფიერი თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია, მათ შორის სასწავლო პროცესის შესაბამისი მოდიფიკაციის საშუალებით განვითარების ახალ შესაძლებლობებს შექმნის. ამ მიმართებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მდგრადი განვითარების კონცეფციის ჩართვას როგორც კონკრეტული დისციპლინების შესწავლისას, ასევე ამ მიდგომის დანერგვასა და გათვალისწინებას ზოგადად სწავლების პროცესის განმავლობაში.

ჩვენი ახალი პრიორიტეტული მიმართულებაა დუალური სწავლების კომპონენტების დანერგვა. საქართველოში ეს მიმართულება პროფესიული განათლების ფარგლებში გაჩნდა. ვთვლით, რომ უმაღლესი განათლების თვალსაზრისითაც ეს მიდგომა პერსპექტიული იქნება.

მიზანი 1.1 საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება

ამოცანა 1.1.1. არსებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

ამოცანა 1.1.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება (მათ, შორის 180 კრედიტიანი საბაკალავრო და 60 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამები)

ამოცანა 1.1.3. საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლა/სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა/განვითარება

ამოცანა 1.1.4.არსებული და ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გეგმიური სააკრედიტაციო წარმოების/გარე შეფასების განხორციელება

მიზანი 1.2 უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა

ამოცანა 1.2.1. უნივერსიტეტის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის ტრენინგ პროგრამების განვითარება

ამოცანა 1.2.2. უნივერსიტეტის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის ახალი ტრენინგ პროგრამების შემუშავება

მიზანი 1.3 დისტანციური სწავლების განვითარება

ამოცანა 1.3.1. უნივერსიტეტის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის მიერ საკონსულტაციო სერვისების შექმნა და განვითარება

პრიორიტეტი II. ინტერნაციონალიზაცია

გლობალური, ურთიერთდაკავშირებული კონტექსტის გათვალისწინებით GIPA-თვის ინტერნაციონალიზაცია, როგორც სტრატეგიული პრიორიტეტი, უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოს პოზიციონირების და მისწრაფების შესაბამისად, რომ ქვეყანა გახდეს რეგიონის კულტურული, ეკონომიკური და ინტელექტუალური გაცვლის ცენტრი, GIPA ისწრაფვის იყოს გამორჩეული უნივერსიტეტი, როგორც რეგიონში ასევე მის ფარგლებს გარეთ.

GIPA-ს ინტერნაციონალიზაციის პრიორიტეტები შესაბამისობაშია განათლების და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიასთან (MES.gov.ge, 2024), რომელიც აღნიშნული პროცესის მნიშვნელობას გამოკვეთს ერთიან ევროპულ კონტექსტში; ისევე როგორც განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან (EQE.ge, 2024) - ავტორიზაცია: ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციური დონე; აკრედიტაცია: ინტერნაციონალიზაციის პროგრამული დონე.

ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებები, სრულად თანხვედრაშია უნივერსიტეტის ხედვასთან და საერთაშორისო კონტექსტთან შესაბამისობაში ისწრაფვის ხელი შუწყოს დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების მქონე კურსდამთავრებულებს მომზადებას და დაამკვიდროს ტენდენციები კვლევისა და განათლების სფეროში, საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის.

GIPA-ს პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს, რეგიონის, ევროპისა და აშშ-ს 100-მდე პარტნიორ უნივერსიტეტთან, რომლებიც დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შესაძლებლობას აძლევს საერთაშორისო მობილობის ფარგლებში ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით. ამასთანავე აღნიშნული პარტნიორობები შესაძლებლობას ქმნის წარმატებით განხორციელდეს ერთობლივი კვლევითი და შესაძლებლობების განვითარების პროექტები.

მიზანი 2.1 გაცვლითი შესაძლებლობების განვითარება

ამოცანა 2.1.1. Erasmus+ ფარგლებში შესაძლებლობების განვითარება

ამოცანა 2.1.2 პარტნიორებთან არსებული თანამშრომლობების განვითარება

---

1 MES.gov.ge. (2024). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030. Retrieved from: https://mes.gov.ge/content.php?id=7755&lang=geo

2 EQE.ge. (2024). უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. Retrieved from: https://eqe.ge/ka/page/parent/581/umaghlesi-ganatlebis-khariskhis-uzrunvelqofa



მიზანი 2.2 საერთაშორისო მობილობის პროცესში მონაწილეთა რაოდენობის ზრდა

ამოცანა 2.2.1 წამსვლელი სტუდენტების საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა

ამოცანა 2.2.2 ჩამომსვლელი სტუდენტების საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა

ამოცანა 2.2.3 წამსვლელი აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა

ამოცანა 2.2.4 ჩამომსვლელი აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა

მიზანი 2.3 სასწავლო და კვლევითი პროცესის ინტერნაციონალიზაცია

ამოცანა 2.3.1 ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

ამოცანა 2.3.2 აკადემიურ პროგრამებში ინტეგრირებული ინგლისურენოვანი კომპონენტების განვითარება / გამრავალფეროვნება

ამოცანა 2.3.3 საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ამოცანა 2.3.4 დისტანციური / ციფრული საგანმანათლებლო კომპონენტების ინტეგრაციის წახალისება სწავლებაში (COIL - Collaborative Online International Learning / Virtual Exchange)

ამოცანა 2.3.5 საერთაშორისო კვლევითი მობილობების ხელშეწყობა

მიზანი 2.4 ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების მართვა

ამოცანა 2.4.1 საერთაშორისო საგრანტო პროგრამების განხორციელების გზით ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა - EU CBHE

ამოცანა 2.4.2 საერთაშორისო საგრანტო პროგრამების განხორციელების გზით რეგიონული შესაძლებლობების გაზრდა

ამოცანა 2.4.3 საერთაშორისო პროფესიულ ქსელებში ინტეგრირების ზრდა

ამოცანა 2.4.4 მობილობაში მონაწილე თანამშრომლების და აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება

პრიორიტეტი III. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

სოციალურ მეცნიერებებში აკადემიური კვლევების ნაკლებობა საქართველოს უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება, რის მთავარ მიზეზებსაც სიტუაციის ანალიზისას შევეხეთ. მოწოდებული ვართ შემდეგი 7 წლის განმავლობაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ პრობლემის გადაჭრაში და მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ჩვენი მიღწევები ამ მიმართებით. აფილირებული აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილის ზრდასთან ერთად გაიზრდება საერთაშორისო რეფერირების მქონე გამოცემებში მათ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი აფილირებულ აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას აძლევს კვლევებისა/შემოქმედებითი და სხვა სამეცნიერო პროექტების/აქტივობების განხორციელების მიზნით, მოიპოვონ შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება, რაც წარმოადგენს მათი სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მნიშვნველოვან მექანიზმს. კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერა შემდგომი 7 წლის განმავლობაში პრიორიტეტულ მიმართულებად დარჩება, რის უზრუნველსაყოფად ვგეგმავთ შიდა დაფინანსების მოცულობის ეტაპობრივ ზრდას.

მნიშვნელოვანია ჩვენ ადგილობრივ და უცხოელ კოლეგებთან ერთობლივი კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. ამ მხრივ, GIPA-ს დიდი პოტენციალი და კონკრეტული გამოცდილება გააჩნია. სხვადასხვა მიმართულებით უნივერსიტეტის პროგრამები წარმატებით მონაწილეობდნენ ჯერ TEMPUS-ის შემდეგ კი ERASMUS+ -ის დაფინანსებულ პროექტებში. მნიშვნელოვანი გამოცდილება არსებობს ჩვენს ამერიკელ კოლეგებთან თანამშრომლობის თვალსაზრისითაც.

სწორედ ასეთი თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა GIPA-ს ინგლისურენოვანი აკადემიური გამოცემა Journal of Politics and Democratization. ჟურნალი უკვე აკმაყოფილებს ყველა ძირითად პარამეტრებს, რათა საერთაშორისო კატალოგში მოხვდეს. ამ ამოცანის შესრულება მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენი გამოცემის მიმართ ინტერესს და ხელს შეუწყობს კვლევების თვალსაზრისით ახალი შესაძლებლობების შექმნას, როგორც აკადემიური პერსონალისთვის ისე სტუდენტებისთვის.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ კვლევებში სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. ამ მიმართებით მეტი ყურადღება დაეთმობა პრაქტიკული გამოყენების მქონე კვლევების განხორციელებას. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო სტუდენტებისთვის შესაბამისი უნარჩვევების გამომუშავებას, არამედ კერძო და საზოგადოებრივი სექტორის დაახლოებას აკადემიასთან.

მიზანი 3.1 საგამომცემლო რესურსის განვითარება და მართვა

ამოცანა 3.1.1. NISPAcee Journal of Public Administration and Policy თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება

ამოცანა 3.1.2. ახალი ელექტრონული გამოცემის - პოლიტიკის დოკუმენტების სერიის განვითარება

ამოცანა 3.1.3. საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და იმპაქტ-ფაქტორულ გამოცემებში გამოქვეყნების შესაძლებლობების გაზრდა

ამოცანა 3.1.4. GIPA-ს პოლიტიკისა და დემოკრატიზაციის ჟურნალის (JPD) განვითარება.

მიზანი 3.2 კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლება

ამოცანა 3.2.1. საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებსა და ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა

ამოცანა 3.2.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა

მიზანი 3.3 კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა

ამოცანა 3.3.1. სამეცნიერო პროექტების მოძიებისა და დაფინანსების შესაძლებლობების ზრდა

ამოცანა 3.3.2. საუნივერსიტეტო კვლევითი პროექტების მხარდაჭერა

ამოცანა 3.3.3. GIPA-ს მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა

ამოცანა 3.3.4. ელექტრონული სახელმძღვანელოების მხარდაჭერა ქართულ ენაზე დეფიციტური სახელმძღვანელოების პირობებში

ამოცანა 3.3.5. სტუდენტების სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობების ამაღლება

ამოცანა 3.3.6. დოქტორანტების კვლევების მხარდაჭერა - დოქტორანტების ემპირიული კვლევების დაფინანსება

მიზანი 3.4 კვლევების შედეგების გავრცელება და საზოგადოებრივი პრობლემების მართვის მიზნით გამოყენება

ამოცანა 3.4.1. უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელებული შედეგების პოპულარიზაცია

ამოცანა 3.4.2. სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურისა და კვლევის ინსტრუმენტების განახლება

ამოცანა 3.4.3. კერძო, საჯარო და დონორი ორგანიზაციების დაკვეთით განხორციელებული კვლევების რაოდენობის გაზრდა

მიზანი 3.5. კვლევის მეთოდების სწავლების, სამეცნიერო ხელმძღვანელობის ხარისხისა და კვლევის კეთილსინდისიერების სტანდარტების გაუმჯობესება

ამოცანა 3.5.1. აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მხარდაჭერა კვლევითი უნარების მუდმივი განვითარების თვალსაზრისით

ამოცანა 3.5.2. სამეცნიერო ხელმძღვანელობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება

ამოცანა 3.5.3. პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევებზე დაყრდნობით ანალიტიკურ ცენტრებთან ერთად კვლევის მეთოდების სწავლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება

ამოცანა 3.5.4. კვლევის კეთილსინდისიერების სტანდარტებისა და პრაქტიკების დანერგვა/წახალისება

პრიორიტეტი IV. ინსტიტუციური განვითარება

ბოლო ათეული წელია ჩვენი უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. რაც დამატებით ფინანსურ წნეხთან ერთად, ართულებს მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს. ინფრასტრუქტურული გამოწვევები მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო უნივერსიტეტის განვითარების თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ძირითადი აქტივობების ერთ შენობაში თავმოყრის შესახებ. მომავალი 7 წლის განმავლობაში ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება ჩვენ საკუთრებაში არსებული საერთო საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მიმართულებით. რისი წარმატებით განხორციელებაც ცენტრალური მნიშვნელობისაა ჩვენი უნივერსიტეტის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების კვალდაკვალ, ვგეგმავთ როგორც სტუდენტთა კონტინგენტის, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გეგმაზომიერ ზრდას. რაც განხორციელდება როგორც ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვით, ისე არსებული პროგრამების ფარგლებში მისაღები სტუდენტთა რაოდენობების ზრდის პირობებში.

უნივერსიტეტის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია პერსონალის გადამზადების და კარიერული განვითარების მექანიზმების შემდგომი განვითარება და სრულყოფა. პარალელურად, გაფართოვდება უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებისა და პერსონალისთვის შეთავაზებული სერვისების დიაპაზონი. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა როგორც უკვე არსებული სერვისების დახვეწას, ასევე ახალი მომსახურებების დანერგვასა და განვითარებას.

ინსტიტუციური განვითარების პარალელურად, ორგანიზაციული მდგრადობის შენარჩუნების თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნებასა და საუნივერსიტეტო საქმიანობის ეფექტიანობის მუდმივ გაუმჯობესებას.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ სტუდენტური ცხოვრების განვითარებას. GIPA ყოველთვის გამოირჩეოდა სტუდენტური აქტივობების ხელშეწყობითა და კომფორტული სასწავლო გარემოს შეთავაზების თვალსაზრისით. სტუდენტთა აკადემიურ, სოციალურ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერად უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტური ფონდი, რომელიც ყოველწლიურად მზარდია და ამ პროგრესიის შენარჩუნება იგეგმა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პარალელურად.

მიზანი 4.1 ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანა 4.1.1 საგანმანათლებლო პროგრამების უმრავლესობის ერთ ლოკაციაზე თავმოყრა

ამოცანა 4.1.2 სასწავლო და მატერიალური რესურსის პერიოდული განახლება

ამოცანა 4.1.3 სტუდენტური სივრცეების შექმნა და განვითარება

მიზანი 4.2 სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა

ამოცანა 4.2.1 კარიერული მხარდაჭერის სერვისების განვითარება

ამოცანა 4.2.2 სტუდენტური ცხოვრების მხარდაჭერა

მიზანი 4.3 ორგანიზაციული ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესება

ამოცანა 4.3.2. თანამშრომელთა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხელშეწყობა

მიზანი 4.4. ორგანიზაციის ზომის გეგმაზომიერი ზრდა

ამოცანა 4.4.1. სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდა

ამოცანა 4.4.2. სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ადამიანური რესურსის რაოდენობის გაზრდა

მიზანი 4.5 უნივერსიტეტის ადამიანური რესურსის განვითარება

ამოცანა 4.5.1 საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური პერსონალის შენარჩუნება

ამოცანა 4.5.2. თანასწორი და სამართლიანი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა

ამოცანა 4.5.3. უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნება

მიზანი 4.6 ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური მიდგომების დანერგვა

ამოცანა 4.6.1 თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს| სისტემის განვითარება

ამოცანა 4.6.2. თანამშრომელთა მონაწილეობით მათი შემდგომი კარიერული განვითარების ხელშეწყობა

მიზანი 4.7. ფინანსური წყაროების დივერსიფიკაცია

ამოცანა 4.7.1 უნივერსიტეტის შემოსავლებში არააკადემიური პროგრამებიდან / აქტივობებიდან მიღებული შემოსავლების წილის ზრდა

პრიორიტეტი V. პროფესიული განათლება

GIPA-ს უკვე მრავალი წელია მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც ხარისხიანი განათლების შეთავაზების კუთხით, ასევე დემოკრატიის ძირითადი პრინციპების აღიარებითა და ყოველდღიურ საქმიანობაში მათი ასახვით. ყოველთვის ფეხს ვუწყობთ ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს და ვმოქმედებთ მოცემული პრიორიტეტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. სწორედ ამიტომ, ჩვენი უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი იყო კერძო უნივერსიტეტებს შორის, რომელმაც გარდა აკადემიური პროგრამებისა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამით მხარი დაუჭირა პროფესიული განათლების განვითარებას, რაც ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

შემდეგი შვიდი წლის განმავლობაში პროფესიული განათლების თვალსაზრისით ვგეგმავთ არამხოლოდ უკვე არსებული პროგრამების დახვეწას, არამედ ახალი მიმართულებების დამატებასაც, რაც გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდას. გავაგრძელებთ მუშაობას ბიზნეს სექტორის ჩართულობის გასაუმჯობესებლად და განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ სტუდენტზე მორგებული გარემოს შექმნას.

მიზანი 5.1 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და არსებულების განვითარება

ამოცანა 5.1.1. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო (გრძელვადიანი) პროგრამის განვითარება

ამოცანა 5.1.2. შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული საკვალიფიკაციო (გრძელვადიანი) პროგრამების დამატება

ამოცანა 5.1.3. ინოვაციური, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული საკვალიფიკაციო პროგრამების დანერგვა

ამოცანა 5.1.4. მომზადება-გადამზადების სასერთიფიკატო პროგრამების შემუშავება და განხორციელება

ამოცანა 5.1.5. ინტეგრირებული და დუალური პროგრამების განხორციელება

მიზანი 5.2 სტრუქტურული გაუმჯობესება

ამოცანა 5.1.4. მომზადება-გადამზადების სასერთიფიკატო პროგრამების შემუშავება და განხორციელება

ამოცანა 5.1.5. ინტეგრირებული და დუალური პროგრამების განხორციელება

ამოცანა 5.2.1. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება

ამოცანა 5.2.2 პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური რესურსების განვითარება

ამოცანა 5.2.5 პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება და პრაქტიკის ახალ ობიექტებთან თანამშრომლობის დამყარება

ამოცანა 5.2.6 საერთაშორისო თანამშრომლობა და ფონდების მოძიება



სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი

სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე უნდა შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს შესაბამისი სტრატეგიული მიმართულებების განხორციელებისთვის საჭირო აქტივობათა ჩამონათვალს მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი. მის შემადგენლობაში შედიან სკოლების დეკანები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, სოფლის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე სხვა პირები, რექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული ჯგუფი ვალდებულია, მონიტორინგი აწარმოოს სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების, მათი შესრულების ვადებისა და კონკრეტული შედეგების შესახებ. მონიტორინგის ჯგუფი ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციებისა და წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშების საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებების შეტანა, როგორც სამოქმედო, ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმაში.